საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/49

---

11 სექტემბერი, 2012 წ. ქ. ბათუმი

„2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადებისა და ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის შესახებ“ რსუ-ს რექტორის 2012 წლის 03 აგვისტოს №01-08/32 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 04 მარტის №38 დადგენილებით დამტკიცებული „რსუ–ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადებისა და ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის შესახებ“ რსუ-ს რექტორის 2012 წლის 03 აგვისტოს №01-08/32 ბრძანებაში. კერძოდ კი,

ა)ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2012 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე;

ბ) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურის შესაბამისად. დაშვების წინაპირობად განისაზღვროს წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი(ტესტირებული სახით ჩატარებული გამოცდის შედეგები), ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის შედეგები;

გ) პუნქტი–6^1 ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,, 6^1. გამოცდები ჩატარდეს 2012 წლის 21 სექტემბერს, 10^{00} საათზე შემდეგ მისამართზე:

1) კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსი, IV; ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი), IV (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35; ოთახი №223 და 227)

2) მშენებლობის მწარმოებლის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა, IV; არქიტექტორ-ტექნიკოსი, IV; კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორი, IV; ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი , IV; სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი, IV; ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი, IV; ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი, V; სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი, IV (მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა №12; ოთახი №414)

3) სასტუმრო საქმის წარმოება (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35; ოთახი №133);

4) მცენარეთა დაცვა- IV; მემცენარეობა- III; . ვეტერინარია-III; მეტყევეობა- III (მიმსამართი: ქ.ბათუმის დასახლება მწვანე კონცხი, აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის ადმინისტრაციული შენობა, ოთახი №317)

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს საგამოცდო დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 24 სექტემბერს 13^{00} საათამდე რსუ-ის კანცელარიის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2012 წლის 24 სექტემბრის სამუშაო დღის ბოლომდე.

დ) ბრძანების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. 2012 წლის 25 სექტემბერს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებმა წარმოადგინონ იმ პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, რის საფუძველზეც გამოიცეს რსუ–ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი კანდიდატების მაგისტრანტობის კანდიდატების შესაბამის პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.“

ე)ბრძანების მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მეცადინეობა დაიწყოს 2012 წლის 1 ოქტომბერს.

2. ბრძანება გნთავსდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს რსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**